ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 186

18 მაისი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა №8-ში (ნაკვეთი 05/040, საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.040.01.501 და №01.19.19.005.040.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა №8-ში (ნაკვეთი 05/040, საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.040.01.501 და №01.19.19.005.040.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის №21.541.580 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა №8-ში, მეოთხე სართულზე მდებარე 47.66 ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.040.01.501) და მეოთხე სართულზე მდებარე 8.10 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.040.01.021) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე თეიმურაზ იაკობიძისთვის (პ/ნ 54001021512) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**